წერილის ნომერი: **30-302114754**
თარიღი: **27/05/2021**
პინი: **2124**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე განცხადებით მომმართა ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცო ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა. აღნიშნული ქონება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 ბენეფიციარს, ქუჩის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათი სრულყოფილ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, ასევე ის ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. უზუფრუქტის ხელშეკრულებას მ/წლის 31 მაისს ეწურება ვადა და იურიდიული პირი ითხოვს სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებას. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური, ა(ა)იპის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, მხარს უჭერს სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი:**08-302114536**
თარიღი: **25/05/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის

გიორგი ნაჭყებიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22 მუხლის მე-2 და მე- 4 პუნქტების თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ.

მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,იავნანა"-ს (ს/ნ 433.642.356) დირექტორმა ქალბატონმა ციცინო ჩხარტიშვილმა (პ/ნ 26001022903), რომლითაც მოთხოვნილია სარეაბილიტაციო ცენტრ „იავნანა"-ს ფუნქციონირებისათვის ქ.ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ.N11 - ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ.27.06.56.086) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ სარეაბილატიციო ცენტრ „იავნანა"-ს შორის 2019 წლის 31 მაისს გაფორმებული N3 უზუფრუქტის ხელშეკრულების გაგრძელებას. ზემო აღნიშნული ორგანიზაცია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ ,,იავნანა"-ს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22 -ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ.N11 - ში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ 27.06.56.086-მიწა 747,00 კვ.მ: შენობა-ნაგებობა 108,68,კვ.მ.).

ზემო აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა წინა უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმება და შემდგომში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ, დაავალოთ იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

გიორგი ნაჭყებია

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108,68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის (ს/კ 433642356) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ა.ა.ი.პ სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა
ქ.ლანჩხუთი; მარჯანიშვილის№11; 2800

#431

26. 04. 2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ,რომ 2019 წლის 20 აპრილის წერილის შესაბამისად, რომელიც ეხება თანხმობას საეაბილიტაციო დღის ცენტრ ,,იავნანას" ,რომ ისარგებლოს იფუნქციონიროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული(მიწისა და შენობა-ნაგებობების საკადასტრო კოდი#27.06.56.086) ქონებით გასდის ვადა 2021 წლის 31 მაისს.
გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული საკითხი და გაგვიგძელოთ თანხმობა.

პატივისცემით,

დღის ცენტრის დირექტორი: (ც. ჩხარტიშვილი)

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019430375 - 31/05/2019 15:50:41

მომზადების თარიღი
06/06/2019 13:21:01

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ლანჩხუთი	ლანჩხუთი		
27	**06**	**56**	**086**

მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 11

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 747.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა ფართით 108.68 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019430375 , თარიღი 31/05/2019 15:50:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/06/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1-1/1735 , დამოწმების თარიღი:29/10/2010 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მესაკუთრეები:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019430375 თარიღი 31/05/2019 15:50:41	**უზუფრუქტუარი**: **ა.ი.პ. "სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა"** 433642356; **მესაკუთრე**: **სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი**233730139; საგანი:747 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართი - 108.68 კვ.მ; ვადა:2 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/06/2019	**უზუფრუქტის ხელშეკრულება N3, დამოწმების თარიღი31/05/2019, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge